ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2894382

ნომერი: AR1448319

თარიღი : 11.10.2016

გაცემის თარიღი : 03.11.2016

გაცნობის თარიღი : 03.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გროზნო , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ რურუა პ/ნ 01030020430
- თბილისი გროზნოს ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 11

ოქტომბერს #AR1448319 განცხადებით მომართა მერაბ რურუამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა გროზნო, #12, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.16.03.050.016), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 08 ოქტომბრიდან 2018 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით.

სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს ჩვენი ეზო. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016245811, მომზადების თარიღი: 22/04/2016 წ., ს/კ: #01.16.03.050.016) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ჩვენი ეზო. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16034574; მომზადების თარიღი: 09/03/2016 წ.; ს/კ: #402025296) თანახმად, შპს ჩვენი ეზოს დირექტორს წარმოადგენს მერაბ რურუა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 1189.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1188.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 226.8 კვ.მ-ის ნაცვლად 226.6 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 2049.2 კვ.მ-ის ნაცვლად 2047.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 1188.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად - 226.6 კვ.მ-ის, საერთო ფართობად - 2047.8 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის #2878324 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.